ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6937848

ნომერი: AR11022746

თარიღი : 13.03.2024

გაცემის თარიღი : 18.03.2024

გაცნობის თარიღი : 19.03.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N43;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ბასიაშვილი პ/ნ 01019005422
- თბილისი, კ.ილურიძის ქ. #50

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და გაცნობებთ შემდეგს: ამონაწერი საჯარო რეესტრის მონაცემებით ს /კ N 01.13.03.010.021(რეგ .N 882022548259 მომზადების თარიღი 29/07/2022 წ) მდებარე შენობა N1ფიქსირდება მშენებარედ, შესაბამისად სამსახური ვერ იმსჯელებს თქვენს საკითხთან დაკავშირებით საჩრდილობლის მოწყობის მიხნით I კლასის რეკონსტრუქციის კუთხით;
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.

სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება.

თქვენი მოთხოვნის პასუხად გაცნობებთ , შენობა ,რომელზეც გეგმავთ რეკონსტრუქციას,არის ახლად აშენებული შენობაა (მშენებარე სტატუსით) , რომლის იერსახე არ არის დარღვეული , ანუ ფასადზე არ არსებობს საჩრდილობლის მოწყობის პრეცენდენტი , რაც ატვირთული არსებული ფოტოსურათის მიხედვით დგინდება შესაბამისად , რომც მიღებული იქნას საპროექტო ობიექტი ექსპლუატაციაში, სამსახურს მსგავსი სახით პრეცენდენტის დაშვება არ მიაჩნია მიზანშეწონილად , რადგან აღნიშნული შესაძლებელია შემდგომში გახდეს ანალოგიური მოთხოვნების წარმოდგენისა და მსგავსი ფაქტების დამკვიდრების საფუძველი, რაც მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას იქონიებს არსებულ შენობაზე.

შესაბამისად ნომენკლატურა და მოთხოვნა დააფიქსირეთ , მხოლოდ სარეკლამო აბრის მოწყობაზე (აღნიშნულისათვის მისამართზე www.tas.ge სამსახურის მიერ გეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლოთ ღილაკით "ნომენკლატურის ცვლილება").
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური იმსჯელებს მხოლოდ სარეკლამო აბრის მოწყობასთან დაკავშირებით არსებული(ჰორიზომტალური მიმართულებით არსებულის სიგანით) . არსებულ აბრებს მიეწეროს ზომები და საპროექტოს

კონტურის საკით მოინიშნოსN 01.13.03.010.021.01.003 საკადასტრო კოდით ფართის ფასადის ზედაპირი , თუ სარეკლამო ფართი გადადის ზედა ფართზე დაგჭირდებათ ზედა ფართის მესაკუთრის თანხმობის წარმოდგენა მისი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან თანდართვით.
ვინაიდან ობიექტი მშენებარეა წარმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის (დამკვეთის) სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.